

განყოფილება: ეკონომიკა

დოკუმენტის დასახელება: თბილისში ჩატარდა სემინარი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით

შექმნის თარიღი: 19.07.2006 10:32

გვერდის მისამართი: http://www.newsgeorgia.ge/news.html?nws_id=558799

თბილისში ჩატარდა სემინარი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით

თბილისი, 19 ივლისი. /" კორ."ახალი ამბები - საქართველო"/. თბილისში, სასტუმრო "ქორთიად-მარიოტში" სამშაბათს ჩატარდა სემინარი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც ჟურნალისტებს ბიზნეს-საბჭოს გენერალურმა მდივანმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა აცნობა, სემინარის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ექსპორტიორებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება შეღავათებთან დაკავშირებით, რომლებითაც ისინი ევროპის ბაზრებზე თავიანთი პროდუქციის გატანის შემთხვევაში ისარგებლებენ, ასევე აუცილებელი პროცედურების შესახებ.

"საქართველო, როგორც ევროპის პარტნიორი ქვეყანა, განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს, რაც მას ევროპის ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ევროპის 25 ქვეყანა - მსოფლიო მასშტაბებით პატარა ბაზარი არ არის და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ქართველმა ექსპორტიორებმა ევროპის ბაზრებზე გასასვლელად და წარმოების გასავითარებლად რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ", - განაცხადა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა და დასძინა, რომ ბიზნეს-საბჭო პერმანენტულად გამართავს შეხვედრებს ექსპორტიორებთან და მიაწვდის მათ ახალ ინფორმაციას.

როგორც სემინარზე ითქვა, საქართველო შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებზეც GSP+ (პრეფერენციების განზოგადებული სისტემა) შეღავათების სქემა ვრცელდება. სქემის მეშვეობით ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნებისთვის აწესებენ საკმაოდ დაბალ საბაჟო ტარიფებს (საპასუხო დათმობების მოთხოვნის გარეშე), რითაც საკუთარ ბაზრებზე ამ ქვეყნების პროდუქციის შემოტანას უწყობენ ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირმა სავაჭრო პარტნიორების სიაში შეიყვანა 15 ქვეყანა, რომლებიც თავიანთი საქონლის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტისას დაბალი ან ნულოვანი საბაჟო

განაკვეთებით სარგებლობენ. ევროპის საყოველთაო პრეფერენციების სიაში (GSP+) შევიდნენ საქართველო, მოლდავეთი, მონღოლეთი და შრი-ლანკა, ასევე ლათინური ამერიკის 11 ქვეყანა.

პრეფერენციები მიაჩნის იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებმაც ადამიანის უფლებათა 23 ძირითადი კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს. გარდა ამისა, ექსპორტი ყოველი ზემოთ ხსენებული ქვეყნიდან ევროკავშირის ქვეყნების იმპორტის საერთო მოცულობის 1%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ევროკავშირის სქემა "GSP+" 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს და 2008 წლის ბოლომდე იმუშავებს. შეღავათიანი რეჟიმი ვრცელდება 7200 დასახელების პროდუქციაზე, მათ შორის ქართული საექსპორტო პროდუქციის საკმაოდ ვრცელ სპექტრზე - თხილზე, ჩაიზე, სხვადასხვაგვარ სასმელებზე და სხვ.

[რია "ნოვოსტი" - ახალი ამბები - საქართველო](#) © 2002-2006.
მასალების გამოყენებისას [სააგენტოს მითითება](#) აუცილებელია.